

ბიცობი - Solonetz

ბიცობი ნიადაგები ბიც ნიადაგებთან ერთად გაერთიანებულია დამლაშებული ნიადაგების ჯგუფში. ამ ნიადაგების საერთო ფართობი შეადგენს 0,2 % (187,3 კვადრატულ კილომეტრს). ბიცობები შეიცავენ ადვილად ხსნად მარილებს სხვადასხვა სიღრმეიდან. მათ აქვთ პროფილის შემდეგი აგებულება: A - B₁ - B₂ - C. ეს ნიადაგები შეიცავენ შთანთქმულ მდგომარეობაში ილუვიურ ჰორიზონტში გაცვლითი ნატრიუმი, ხოლო ზოგჯერ მაგნიუმი დიდი რაოდენობით. მათ გააჩნიათ პროფილის მკვეთრი დიფერენციაციით და ხასიათდება არახელსაყრელი აგრონომიული თვისებებით. ჰუმუსის შემცველობა მერყეობს დიდ ფარგლებში. გაცვლითი ნატრიუმის შემცველობა მერყეობს 13-15 % დან 60 % ჰორიზონტ B-ში. რეაქცია სუსტად ტუტეა ან ტუტეა. ღარიბია ან საშუალოდ უზრუნველყოფილია საერთო აზოტით, ღარიბია ჰიდროლიზებადი აზოტით, ღარიბია, საშუალოდ უზრუნველყოფილია ან მდიდარია საერთო ფოსფორით, ღარიბია ან საშუალოდ უზრუნველყოფილია შესათვისებელი ფოსფორით. მდიდარია საერთო კალიუმით და საშუალოდ უზრუნველყოფილია ან მდიდარია გაცვლითი კალიუმით. ჩვეულებრივ გაბინძურებულია რადიონუკლიდებით.

Solonetze und Solonchaks gehören zu den halomorphen Böden die 187,3 qkm einnehmen (0,2%). Die Solonetze (164,2 qkm) enthalten leicht lösliche Salze in unterschiedlichen Tiefen des Profils. Sie haben folgenden Aufbau: A-B₁-B₂-C. Solonetze haben austauschbares Natrium im Illuvialhorizont aber manchmal auch Gehalte an Mg. Die Böden zeichnen sich durch ein differenziertes Profil aus, das agronomisch nicht profitabel ist. Der Gehalt an Humus variiert in weiten Grenzen. Im B-Horizont variiert austauschbares Natrium von 13-60%. Die aktuelle Reaktion ist schwach alkalisch oder alkalisch. Die Böden sind wenig oder mittel versorgt mit totalem Stickstoff, sind arm an hydrolisierbarem N, sind reich an oder mittel versorgt mit mobilem Phosphor, sind reich an totalem Kalium und mittel versorgt oder reich an austauschbarem Kalium. Sie sind häufig kontaminiert mit radioaktiven Nukleiden.

